მკვდარი ზღვა

შენი აზრით, რატომ დაარქვეს ზღვას მკვდარი? წაიკითხე ტექ-სტი და შეამოწმე შენი პასუხი.

მკვდარი ზღვა მდებარეობს ის-რაელში, იუდეის **უდაბნოში**. ზღვა მო-ქცეულია კლდეებს შორის. იგი ზღვის დონიდან 422 მეტრით დაბლაა. ზღვის სიღრმე 378 მ-ია, სიგრძე კი – 67 კმ.

საინტერესოა, რატომ ჰქვია ზღვას მკვდარი? როგორც ცნობილია, ამ ზღვა-ში ცოცხალი ორგანიზმი ვერ **ძლებს**. დიახ, წყალში არც თევზი ცოცხლობს, არც წყლის მცენარე. მართალია, ზღვა-ში ჩაედინება მდინარე იორდანე, რო-მელსაც მიჰყვება თევზებიც, მაგრამ ყველა იხოცება. ამის მიზეზი ის არის, რომ მკვდარი ზღვა ძალიან მარილია-ნია. ის არის ოკეანის წყალზე ცხრაჯერ უფრო მარილიანი.

რატომ არის მკვდარი ზღვა ასეთი მარილიანი? როგორც ვიცით, მკვდა-რი ზღვა ყველაზე დაბალი წერტილია დედამიწაზე. ამიტომ ზღვიდან წყა-ლი ვერ გაედინება. უდაბნოში ცხელა და წყალიც სწრაფად ორთქლდება. მარილები კი არ ორთქლდება, ზღვაში რჩება. სწორედ ბევრი მარილის გამო არის მკვდარი ზღვა ძალიან მარილიანი.

მკვდარ ზღვაში ცურვა ძნელია, სა-მაგიეროდ **ტივტივია** ადვილი. იქ შე-გიძლია წყალზე დაწვე და გაზეთი იკითხო.

რადგან მკვდარი ზღვის წყალი მინე-რალებით არის მდიდარი, ის ადამია-ნისთვის სასარგებლოა. ამბობენ, რომ ზღვის ეს თვისება უძველესი დროიდან არის ცნობილი. ამიტომ მას უამრა-ვი ადამიანი სტუმრობდა ძველად და სტუმრობს ახლაც.

რა გაიგე ახალი მკვდარი ზღვის შესახებ?

დონე: B გამართული, **კომპონენტი:** მიზეზი და შედეგი

▶▶▶ ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 მკვდარ ზღვას იმიტომ ჰქვია ეს სახელი, რომ:

ა) მასში არ არიან ცოცხალი ორგანიზმები.

ბ) მის გარშემო მაღალი კლდეებია.

გ) მასში წყალი სწრაფად ორთქლდება.

2 რატომ არის მკვდარ ზღვაში ძალიან ბევრი მარილი?

ა) ზღვაზე დასასვენებლად ბევრი ტურისტი ჩადის.

ბ) ზღვაში წყლის მცენარეები ვერ ცოცხლობენ.

გ) ზღვის წყალი ორთქლდება, მარილი კი ზღვაში რჩება.

3 მკვდარი ზღვის წყალი ადამიანისთვის სასარგებლოა, რადგან:

ა) იგი მინერალებით არის მდიდარი.

ბ) მასში ჩაედინება მდინარე იორდანე.

გ) მის ზედაპირზე შესაძლებელია ტივტივი.

4 ტექსტში <u>არ ჩანს</u>:

ა) რატომ არის მკვდარი ზღვა ძალიან მარილიანი.

ბ) რომელი სასარგებლო მინერალებია მკვდარ ზღვაში.

გ) რომელი ქვეყნის ტერიტორიაზეა მკვდარი ზღვა.

ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. მკვდარი ზღვა არის იუდეის **უდაბნოში**. **უდაბნო** ისეთი დაუსახლებელი ადგილია:

   ა) სადაც ბევრი წყალია. ბ) სადაც დიდი ტყეებია. გ) სადაც წყალი არ არის.

2. მკვდარ ზღვაში ცოცხალი ორგანიზმი ვერ **ძლებს**.

   ა) იკვებება. ბ) მრავლდება. გ) ცოცხლობს.

3. მკვდარ ზღვაში **ტივტივია** ადვილი. **ტივტივი** ნიშნავს:

   ა) წყალში სწრაფად ცურვას.

   ბ) წყლის ზედაპირზე ნელა მოძრაობას.

   გ) წყალის სიღრმეში ცურვას.

2 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები.

გაედინება	მიედინება	ჩაედინება

1. მდინარე ზღვაში ----------.

2. ზღვიდან წყალი ვერ ----------.

3. წყალი უდაბნოში ნელა ----------.

გრამატიკა

1 რომელი სიტყვაა გამოტოვებული?

---------- დღეს ბევრი ადამიანი სტუმრობს.

ა) ზღვა. ბ) ზღვამ. გ) ზღვას.

2 დაწერე სიტყვები მრავლობით რიცხვში.

ნიმუში: მცენარე – მცენარეები.

1. მდინარე – ----------. 2. კლდე – ----------.

გრამატიკა

3 დაასრულე სიტყვა.

მარილიანი წყალი **ადამიანის. . .** სასარგებლოა.

2 შეარჩიე სწორი ფორმები.

1. მკვდარი ზღვის ---------- წყალში ცურვა ძნელია.
(მარილიანი/მარილიან)

2. ზღვის ეს თვისება ---------- დროიდან არის ცნობილი.
(უძველეს/უძველესი)

3. ისრაელში ყოველ წელს უამრავი _____ ჩადის. *(ტურისტი / ტურისტები)*

წერა

1 დაასრულე წინადადებები ტექსტის მიხედვით.

1. მკვდარი ზღვიდან წყალი ვერ გაედინება, რადგან ----------

---

2. მკვდარ ზღვაში თევზები ვერ ცოცხლობენ, რდგან ----------

---

3. მკვდარი ზღვა ძალიან მარილიანია, რადგან ----------

---

2 დაწერე ორი მიზეზი, რის გამოც ნახავდი მკვდარ ზღვას.

1. ----------

---

2. ----------